საქართველო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

დ. ჩოხატაური. წერეთლის ქ №2

№——— "———"——————————— 2015 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზ. მამალაძეს

გეგზავნებათ, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულების პროექტი.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე: მ. ბერაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი: დადგენილების პროექტის მიღება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ 2015 წლის 25 ივნისს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურიდან შემოვიდა წერილი, რომელიც ითვალისწინებს სამართლებრივ შენიშვნებს, კერძოდ მითითებაა, რომ ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N20 დადგენილების პრეამბულაში დაემატოს ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ 33-ე მუხლი, მუნიციპალიტეტის საკრებულომ განსაზღვროს ის ტერიტორიები, რომელზეც გავრცელდება პასუხისმგებლობა შინაური ცხოველების მცირე ოდენობის ფეკალური მასით ტერიტორიის დაბინძურებისათვის.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიღების მიზანი: დადგენილების პროექტის მიღების მიზანია აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი: დადგენილების პროექტით ცვლილება შედის ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N20 დადგენილებაში. კერძოდ, აღნიშნული დადგენილების სათაური, პრეამბულა, პირველი მუხლი, მეორე მუხლი და დანართი N2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

ბ)დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: დადგენილების პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებითი ხარჯებით დაფინანსებასთან.

ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე: დადგენილების პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ)დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე: დადგენილების პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) მუნიციპალიტეტის ახალი ფინანსური ვალდებულებები: დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს მუნიციპალიტეტის მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

გ)დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) დადგენილების პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან: დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან: დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან: დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში: აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო , არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციას/დაწესებულებას, ექსპერტებს.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

ვ) დადგენილების პროექტის ავტორები:

პროექტის ავტორებია თამარ ახალაძე, მარიტა მგალობლიშვილი

ე) სხდომაზე მომხსენებელი:

სხდომაზე მომხსენებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე ბერაძე.

და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: მარინე ბერაძე

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2015 წლის ----------

დ. ჩოხატაური

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[I] მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.
2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, გამოქვეყნდეს საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^2 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: **თამარ ახალაძე**

მარიტა მგალობლიშვილი

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N----------

2015 წლის ----------

დ. ჩოხატაური

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 29 მაისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ცვლილება შევიდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით “ გათვალისწინებული სანქციები' ' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 29 მაისის N20 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2015, სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.114.016262)

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი “ მიზნებისთვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების ცალკეული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ “.

2. დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის" 48-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ " საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: "

3. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: განისაზღვროს დანართი №1-ის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასახლებული პუნქტების იმ ტერიტორიების ჩამონათვალი, სადაც არ ფუნქციონირებს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემა და შესაბამისად არ ვრცელდება საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი" 31-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-7 ნაწილით (გარდა იურიდიული პირისა), მე-9 ნაწილით (გარდა იურიდიული პირისა) და 35-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

4. დადგენილების მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: განისაზღვროს დანართი №2-ის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასახლებული პუნქტების იმ ტერიტორიების ჩამონათვალი, რომლის დაბინძურება ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასით გამოიწვევს „საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი" 33-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

5. დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასახლებული პუნქტების იმ ტერიტორიების ჩამონათვალი, რომლის დაბინძურება გამოიწვევს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის" 33-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას

1. დუმბაძის ქუჩა აგრარული ბაზრის ჩათვლით
2. თბილისის ქუჩა ვისოლის ბენზინგასამართი სადგურიდან სამედიცინო ცენტრ „მედალფამდე"
3. მარის ქუჩა მუსიკალური სკოლიდან დაბის სასაფლაოს შესახვევამდე, სასაფლაოს აღმართის ჩათვლით
4. ჭავჭავაძის ქუჩა საკათედრო ტაძრიდან კომისარიატის აღმართის ჩათვლით
5. გურიის ქუჩა
6. რუსთაველის ქუჩა პოლიციის ხიდიდან მრავალბინიანი საცხოვრებლის ჩათვლით
7. გოგიბერიძის ქუჩა პოლიციიდან გურგენიძის ქუჩის კვეთამდე
8. 9 აპრილის ქუჩა
9. ბენდელიანის ქუჩა კინოთეატრ „გურიის" გვერდით
10. წერეთლის ქუჩა მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობიდან გრიგოლ ხანძთელის სახელობის ეკლესიამდე
11. კოსტავას ქუჩა მდინარე სუფსის ხიდიდან „გიოოილის" ბენზინგასამართ სადგურამდე
12. ლომთათიძის ქუჩა ბახმაროს გადასახვევიდან თხილის გადამამუშავებელი ქარხნის შენობამდე
13. გურამიშვილის ქუჩა ლომთათიძის ქუჩიდან ღვინის ქარხნამდე

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტის ავტორები: **მარიტა მგალობლიშვილი**

თამარ ახალაძე

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით " გათვალისწინებული სანქციები' ' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N20 დადგენილება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსი“ 33-ე მუხლის პირველ ნაწილს და მის შენიშვნას (შენიშვნა1), რომლის მიხედვითაც 33- მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა პირს დაეკისრება შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით განსაზღვრულ დასახლებული პუნქტების ტერიტორიებზე განხორციელებული ქმედებებისთვის. ასევე ზემოაღნიშნული დადგენილება ეწინააღმდეგება ,საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსი“ 48-ე მუხლის მე-5 ნაწილს, რომლის თანახმადაც ამ კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-7 ნაწილით (გარდა იურიდიული პირისა), მე-9 ნაწილით (გარდა იურიდიული პირისა) და 35-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს აქტით განსაზღვრულ დასახლებული პუნქტების ტერიტორიებზე, სადაც არ ფუნქციონირებს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სისტემა, არ გავრცელდება ამ კოდექსის ამოქმედებიდან 1 წლის განმავლობაში.

შესაბამისად, აღნიშნული დადგენილება ექვემდებარება კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას, კერძოდ ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების

შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძვლებია: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 132-ე მუხლი, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადეგნილება, საქართველოს კანონი ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ,,ნორმატიული აქტის ცვლილების მომზადება, მიღება (გამოცემა) და ძალაში შესვლა ხდება იმ ნორმატიული აქტის მომზადების, მიღებისა (გამოცემისა) და ამოქმედებისთვის დადგენილი წესით, რომელშიც შეიტანება ეს ცვლილება“.

საკრებულოს აღნიშნული პროექტი მტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტით - საკრებულოს დადგენილებით.

„სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე: მარინე ბერაძე